კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. | რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად . 10 კაპ. | ადრესი: Тифлисъ, Барятинская, № 5.

წელიწადი მეორე

1910 წელიწადი.—14 აპრილი.—№ 8.

შინაარსი

რედაქციისაგან 3

პირველი მორიგი გამოფენა-ბაზარი ხილეულობისა 3

ი. ქუთათელაძე . . . . . ჩვენი ქვეყნის აბრეშუმის ბარკი უცხოეთის ბაზარზე . . 6

გ. თაქთაქიშვილი . . . ხეხილის მტრები 10

ვ. კარალელი . . . . . ბახჩისარაის კვახი 10

გ. ცხადაძე . . . . . ველის ავადმყოფობანი 12

ა. კახელაძე . . . . . კითხვა და პასუხი 14

მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი 15

საყურადღებო ცნობები:

ვალტერის წასასმელი ოდლადისა და რკინის დაჟანგების წინააღმდეგ 16
ლითონების გაწმენდა ჭუჭეისა და ჟანგისაგან . . . . . —
დაობებული ლიმონი ჩიანჭველების წინააღმდეგ . . . . . —

ტფილისი, ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა, 1910 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:— პ. აკერკინისა, ი., აფხაზ..სა, აგრიკოლასი, ვ. ახოშვილისა, ვ. ახალაძესი ლ. გოგნიევისა, ვ. გულბაათიშვილისა, დ. გორთაშაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელე ესი, ზ. ედილაშვილისა, მ. ზაალიშვილისა, ა. თამამშეკვისა, ე. იოსელიანისა, დ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძესი, დ. მდივანისა, ს. მგალობლიშვილისა. მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. მჭედლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ტ. ნ., ი. პაატაშვილისა, ვ. რცხილაძესი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორტუნატოვისა, ვ. შ—ელისა, ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორჯაძესი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს **კოლეგია**, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოთა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირისპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან: გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ღამბაშიძე ვ., აღლაძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქცამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური.**

წლიურ აბონემენტებისათვ-ს განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თესლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ვისაც ჟურნალის წლიური ფასი სრულად არ აქვთ შემოტანილი შემოიტანონ, რომ ჟურნალის შემდეგი ნომრები თავის დროზე გაეგზავნოთ.

რედაქციისაგან

ამ ნომრიდან ჟურნალში იწყება ბეჭდვა ქართული ტერმინებისა მეცნიერების ყველა დარგიდან იმ განზრახვით, რომ შესდგეს მასალა, რომლიდანაც შემდეგ შემუშავდება და დაიბეჭდება **სამეცნიერო სიტყვათ-კრებული** (ლექსიკონი), ურომლისოდაც დღეს დიდ გასაჭირშია სამეცნიერო წერილების დამწერიც და წამკითხველიც.

რედაქცია მიმართავს უმორჩილესის თხოვნით ყველას, ვისაც კი ქართული **სიტყვა-სახელი** (ტერმინი) უგროვებია ან იცის, მეცნიერების რომელი დარგიდანაც იყოს და რამდენიც გინდა იყოს, არ დაიზარონ და მოაწოდონ რედაქციას სახელმძღვანელოდ და გამოსაყენებლად.

მასალა დარგ-დარგად დაიბეჭდება შეძლებისადაგვარად. ისეთ **სიტყვა-სახელს**, რომელიც საეჭვოა, უნდა ახსნა-განმარტება ჰქონდეს, რომ რედაქცია მიუხვდეს შინაარსს.

რედაქცია მზად არის თავისი **ულრმესი** პატივისცემა და დიდი მადლობა გამოუცხადოს წინადვე ყველა იმათ, ვინც თანაგრძნობას და თანამშრომლობას გაგვიწევს ამ საქმეში.

პირველი მორიგი გამოფენა-ბაზარი ხილეულოგისა

გამოფენა-ბაზრის გამგე კომიტეტი ამით აცხადებს რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება და რუსეთის მეხილეთა საზოგადოების აქაური განყოფილება ერთად მართავენ მდგომარე წელს ოკტომბრის 10—25-დე ტფილისში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, **კავკასიაში მოყვანილი ხილის პირველ მორიგ გამოფენა-ბაზარს.**

გამგე კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც კი აქვს ბალ-ენახი და მოჰყავს რამე ხილი, მიიღონ მონაწილეობა ამ გამოფენაში თავიანთი ბაღის ნაწარმოების გამოგზავნით და სხვასაც მიაწვდინონ ხმა და წაახალისონ ასეთივე მონაწილეობა. რაც უფრო სავსებით იქმნება წარმოდგენილი ამ გამოფენაზე ადგილობრივი მეხილეობა, იმდენი ხილის მოყვანასა და ხილით ვაჭრობას ჩვენში შეიძლება ფართო ბაზარი მიეცეს და მეტი სარფა-გამოყენება ქონდეს მომავალში მწარმოებელთათვის.

ყველა ნაირი ცნობების მისაღებათ ამ გამოფენის შესახებ მსურველები მიმართავენ გამგე კომიტეტის მდივანს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ბარიატინსკის ქუჩა, № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენა-ბაზრის პროგრამა

I კავკასიაში მოყვანილი ნედლი ხილი.

1. ადგილობრივი ჯიშისა;
2. ევროპიული და რუსეთის ჯიშებისა;
3. სხვა ქვეყნების ჯიშებისა.

II გამშრალ-გამხმარი, შემწვარი ან სხვა რიგად დამუშავებული ხილი:

1. დაჩირულ-დაჩამიჩებული ხილი და ხმელი ხილი;
2. კონსერვები;
3. მურაბა, ჟელე, ნაშარაბი, ბადაგი და სხვა...

III ხილის ჩასაწყობები შინ შესანახად და შორს გასაგზავნად.

IV იარაღები და მაშინები:

1. ბაღ ვენახში სახმარებელი იარაღები;
2 ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები და მაშინები;
3. მაშინები და აპარატები ხილის დასარჩევად და სხვარიგ დასამუშავებლად;
4. აპარატები და სხვა იარაღები ხეხილების სხვადასხვა მტრებთან საბრძოლველად.

V ბაღ-ვენახებში სახმარებელი მასალა:

1. შესაყრელ-შესასხურებელი წამლები;
2. შესაყელ-ასახვევები;
3. წასასმელი წებოები, სხვადასხვა ფისები და სხვა და სხვა.

VI სამეცნიერო და სასწავლო განყოფილება.

1. ბაღ-ვენახების და მეხილეობის შესახები წიგნები, ატლასები, დიაგრამები და სხვა;
2. სხვადასხვა ხილის მოდელები და ყველა სხვა საგნები, რომელნიც ამ მეურნეობის დარგს შეეხებიან;
3. ხეხილთა მტრების სხვადასხვა მწერთა და სოკოთა ეკზემპლიარები და მათგან დაავადებული ხეხილების ნიმუშები.

VII ხეხილების თესლი.

VIII აღნიშნულ პროგრამის გარეშე დარჩენილი ხოლო მებაღეობისა და მეხილეობის შესახები საგნები.

გამოფენა—ბაზრისთვის მიღებული წესები

§ 1. ხილეულობის გამოფენა-ბაზარს აქვს მიზნად:

პირველი—ხილის გამოფენით (არა ნაკლებ 20 გირვანქისა და არა უმეტეს 10 ფუთისა ყველანაირი ხილი) დაასურათოს და დაახასიათოს ის მდგომარეობა, რომელშიაც არის დღეს ჩვენში ხილის მოვლა-მოყვანის და ხილით ვაჭრობის საქმე:

მეორე—გააცნოს რა გვარი დამუშავება არსებობს დღეს ხილისა და რა საშუალებით ხდება ეს დამუშავება და აგრეთვე რაში და როგორ ალაგებენ ხილს შორს გასაგზავნად.

შენიშვნა: აშკარად გარკვეულ-განსაზღვრულ ჯიშის ხილი როგორც ნიმუში შეიძლება ნაკლები ზომისაც იქმნეს დაშვებული გამოფენაზედ.

§ 2. გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც თვით მოჰყავს ხილი ან მის წარმომადგენელს.

შენიშვნა: კონკურსის გარეშე ხილის გამოფენა ხილით მოვაჭრეებსაც შეუძლიანთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 3. გამოფენის ყველა საქმეებს განაგებს გამგე კომიტეტი შემდგარი იმ პირთაგან, რომელთაც აარჩევენ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება და რუსეთის მეხილეთა საზოგადოების აქაური განყოფილება.

§ 4. იმ პირთ ან დაწესებულებათ, რომელნიც ისურვებენ თანახმად ზემოთ აღნიშნულ პროგრამისა თავიანთ ნაწარმოების გამოფენას, უნდა კეთილ ინებონ და მდგომარე წლის პირველ სექტემბრამდე გამოგზავნონ მიღებული ფორმის განცხადება, რომ გამგე კომიტეტმა შესძლოს ეკსპონატებისათვის საჭირო ადგილები წინადვე დაამზადოს.

§ 5. გამოგზავნილი საქონლის მიღება გამოფენის დარბაზში დაიწყება **ხუთი** დღით წინ და მოისპობა **ერთი** დღით წინ გამოფენის გახსნამდე.

შენიშვნა: ეკსპონატები, რომელნიც დანიშნულ ვადაზე გვიან მოვლენ, შეიძლება მიღებულ იქმნენ თუ მათ გამოსაფენად თავისუფალი ადგილი აღმოჩნდება.

§ 6. საქონლის მოსატანი ხარჯი გამოფენაზე თვით საქონლის პატრონისაა, ხოლო თუ ამ საქონლის ვაკზლიდან მიღებას პატრონი გამგე კომიტეტს მიანდობს, მაშინ წინადვე უნდა გადაიხადოს მოსატანი ფუთზე 30 კაპეიკი.

იგივე პირობით შეიძლება იკისროს გამგე კომიტეტმა საქონლის ჩალაგება და უკან გაგზავნა როცა გამოფენა გათავდება.

რკინის გზით უკან გაგზავნას საქონლისას გამგე კომიტეტი იკისრებს მხოლოდ მაშინ, თუ გასაგზავნ ფასს საქონლის პატრონი წინადვე სრულად გადაიხდის. ფასდადებით საქონლის გაგზავნას უკან გამგე კომიტეტი ვერ იკისრებს.

§ 7. ვინც ისურვებს თავის საკუთარ პოვილიონის გაკეთებას გამოფენაზე, უნდა ამ პოვილიონის პროექტი პირველ სექტემბრამდე წარმოუდგინოს გამგე კომიტეტს განსახილველად. ეს კერძო პოვილიონები გამოფენის გახსნამდე უნდა **სამი** დღით წინ იყვნენ დადგმულნი.

§ 8. ისეთი ხილი, რომელიც მალე ფუჭდება, უნდა ახალ-ახალზე გამოიცვალოს ხოლმე. წინააღმდეგ შემთხვევაში გამგე კომიტეტის განკარგულებით ესეთი ხილი გამოფენიდგან სრულიად შეიძლება ალაგდეს.

§ 9. ღირს-შესანიშნავი ეკსპონატები და აგრეთვე საყურადღებო ღვაწლი ამ გამოფენისთვის გაწეული შეიძლება დაჯილდოებულ იქმნეს პრემიით.

§ 10. გამოფენილი ხილისა და სხვა ნაწარმოებთა ღირსების დასაფასებლად კავ. სამ. საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება და რუსეთის მეხილეთა საზოგადოების აქაური განყოფილება აარჩევენ ეკსპერტთა კომისიას, რომლის გარდაწყვეტილება იქნება საბოლოო. ამ ეკსპერტთა კომისიაში ორი წევრი უნდა თვით ეკსპონენტებმა აარჩიონ, ხოლო იმათ შორის, ვინც კონკურსის გარეშე გამოფენავენ თავიანთ საქონელს.

§ 11. პრემიებათ იქნება საპატიო დიპლომები, მენდლები, სამენდლო დიპლომები და ქების ადრესები.

§ 12. გამოფენა-ბაზარზე შესვლა ღირება: დიდებისათვის 20 კაპ., ყმაწვილებისთვის—10 კაპ.

13. საქონლის გამოსაფენად ადგილი (არა ნაკლებ 1 კვ. არშინის) მაგიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ეღირება **თითო კვ. არშინი თითო მანეთი, კედლებზე** —50 **კაპ.**

ვინც საკუთარ ვიტრინას გამართავს, მას 1 კვ. არშ. ადგილში გარდაეხდევინება 1 მანეთი. ამას გარდა იარლიკებისა და სახელი და გვარის ზედწარწერის ხარჯის დასაფარავად ეკსპონენტები გადაიხდიან 1 მანეთს.

§ 14. ეკსპონენტები მოვალენი არიან იხელმძღვანელონ როგორც ზემოთ ჩამოთვლილ წესებით ისე ყველა იმ განკარგულებებით, რომელსაც გამოსცემს გამგე კომიტეტი ან მოახდენს მისგან დანიშნული გამოფენის რომელიმე განყოფილების ზედამხედველი პირი.

§ 15. გამოფენაზე მიღებული საქონელი ჩაიწერება ცალკე წიგნებში და ყოველივე ანგარიში გაეწევა. ფასი საქონელზე, რომლის გასყიდვა გამგე კომიტეტზე იქნება მინდობილი, თუ თვით პატრონმა არ დანიშნა, გამგე კომიტეტი დანიშნავს.

ვინც თვითონ გაყიდის თავის საქონელს, ფასსაც თვითონ დაადებს.

§ 16. ეკსპონენტების წარმომადგენელთ, რომელნიც მოვლენ რამე საქმისათვის გამოფენაზე, უნდა თან ჰქონდეთ ნდობის წერილი, რომლის პირი ეკსპონენტმა უნდა გამოფენაზე მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად წარმოუდგინოს გამგე კომიტეტს.

§ 17. იმ შემოსავლიდგან, რასაც ეკსპონენტი ან მის წარმომადგენელი აიღებს გამოფენილი საქონლის გასყიდვაში, როცა ამ საქონელს თითონ ჰყიდის, გამგე კომიტეტი თავის სასარგებლოდ გარდაახდევინებს 5%.

როცა გასყიდვა აუკციონით მოხდება გამოფენის გათავების შემდეგ საწყობებში, მაშინ აღებული ფულიდან საქონლის პატრონს გამგე კომიტეტის სასარგებლოდ დაეჭირება 10%.

იგივე 10% გარდახდებათ იმ ეკსპონენტებს, რომელნიც თავიანთ საქონელს გამგე კომიტეტის დახმარებით გაყიდიან გამოფენაზე.

ხოლო გამოფენა-ბაზარს გარეშე მყოფ ნაწარმოების გასყიდვაში, თუ მორიგება გამოფენაზე მოხდა, მთელი მორიგებული თანხიდან საქონლის პატრონს გარდაეხდევინება 1%.

§ 18. თუ საქონლის პატრონმა არ შეატყობინა გამგე კომიტეტს, რა უყოს მან ამ საქონელს როცა გამოფენა გათავდება, საქონელი შეინახება და პატრონს შეუძლიან უკან მიიღოს: ნედლი ხილი—ერთი კვირის განმავლობაში, სხვა საქონელი—ორ კვირაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუტანელი საქონელი გამოფენის სასარგებლოდ რჩება.

§ 19 სასურველია რომ გამოფენილ საქონელს პატრონებმა შემდეგი ზედწარწერა მიაკრან:

1. საიდან გაიჩინეს ბაღში, ანუ ვისგან შეიძინეს დასამყნობათ ან დასარგავად;

2. მეცნიერული (პომოლოგიური) და ადგილობრივი სახელი;

3. როდის მწიფდება (საზაფხულოა, შემოდგომისა, თუ ზამთრის ჯიში) და როდემდე სძლებს;

4. ხე რამოდენია სიმაღლით და მთელი ტანით;

5. როგორ ნიადაგს და ჰავას თხოულობს;

6. რამდენად ადვილად უძლებს ან ვერ უძლებს ქარს, გოლვას, სიცივეს და რომელი სატკივრისა უფრო ეშინიან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. რამდენი ამისთანა ხე დგა მთელ ბაღში დაახლოვებით;

8. როგორი სხმოიარობა იცის.

ყველა ამ ცნობების დასანიშნავათ ბლანკები მსურველთ გაეგზავნებათ დაბარებისავე უმალ. ვისაც ყველა ამ ცნობების დანიშვნა არ შეეძლება ამით მაინცა და მაინც არ უნდა დაპრკოლდეს. ვინც ხსენებულ საკითხებზე მეტ ცნობას აღნიშნავს მით უკეთესი.

მოკლე დარიგება იმის შესახებ თუ როგორ უნდა გადირჩეს ხილი და ჩალაგდეს გამოფენაზე გამოსაგზავნად, მსურველთ დაურიგდებათ უფასოთ.

გამოფენაზე მიმსვლელთ ეჩვენებათ და აეხსნებათ როგორ აშრობენ-ახმობენ სხვადასხვა ნედლ ხილს, როგორ ამზადებენ კონსერვებს, მურაბებს და სხვა. იქნება მოწესრიგებული საზოგადოდ სხვადასხვა საინტერესო და სასარგებლო ცნობების გარდაცემა.

ჩვენი ქვეყნის აბრეშუმის პარკი უცხოეთის ბაზარზე

(დასასრული)

უმეტესი ნაწილი ჩვენი პარკებისა იყო მილანში, სადაც ფასები შედარებით მარსელთან ყოველთვის 10 — 20%-მდე მეტია. ზემოთ აღნიშნულ ცნობების თანხმად უფრო დიდი ფასი დეკემბრის დამლევს, იანვარს, და თებერვალში იყო მილანში 9 ფ. 40 სან. მაგრამ როგორც ზემოთ ვსთქვით ჩვენი ექსპორტიორების უმეტესობამ ვერ ისარგებლეს ამ ფასებით და უმეტეს ნაწილად 9 ფ. 20 ს.—9 ფ. ფრანკში გაყიდეს. პირველი სორტის პარკი ზოგმა 8 ფ. 80 სან. გაყიდა, მეორე სორტი—9 ფრანკში და 8 ფ. 80 სან. და სხვა. მოყვანილ ცნობებიდან ნათლად სჩანს თუ როგორ ხშირად იცვლება ბაზარი. მასთან ზაფხულსა, შემოდგომასა და დეკემბრის დამლევამდე ყვითელ პარკსა და ძაფს უფრო ეტანებოდნენ მექარხნეები. ეხლა-კი თეთრ პარკსა და ძაფს უფრო თხოულობენ და ფასებმაც აიწია შედარებით. ერთი სიტყვით ყველა ქვეყნის მილიონ მეაბრაშუმეთა და მრეწველთა ბედ-ილბალი იმაზეა დამოკიდებული თუ უცხოელი მკერავნი საიდან გამოაბმენ კუდს ტანისამოს ან ბევრს ბლონდსა და ლენტს შემოახვევენ ქუდს თუ ცოტას. ერთი გოჯი ლენტი რომ მოუმატონ ან მოაკლონ ამასაც დიდი გავლენა აქვს ფასების მომატება-დაკლებაზე. მასთან აბრეშუმის ფარჩეულობა უფრო მდიდრების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ნივთია. სულ ცოტა რამ შემთხვევაა საჭირო, რომ ბაზარზე მისი მოთხოვნილება შემცირდეს. წარმოიდგინეთ პარიზის წყალ-დიდობამაც კი იმოქმედა აბრეშუმეულის ფასების დაკლებაზე. ამერიკის საფინანსო კრიზისმა კიდე კინალამ მიწასთან გაასწორა მთელი აბრეშუმის მრეწველობა ამ ორის წლის წინედ! 45 წლის განმავლობაში აბრეშუმის მრეწველობის მატიანეში მხოლოდ ორი შემთხვევა იყო როცა პარკის ფასი მსოფლიო ბაზარზე 100 მანეთამდე ავიდა ფუთი. ერთხელ 1866 წელს, როცა საქართველოშიაც დასჩემდა აბრეშუმის ჭიას სნეულება (პებრინა) და ჩამოსულ ფრანგ-იტალიელ მეთესლეებმა წინანდებურათ აქედან ვერ მიაწვდინეს თესლი და პარკი უცხოელ მექარხნეებს სანთლით საძებარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეექმნათ და ფუთს 108 მანეთადაც ვერ შოულობდნენ. მეორე შემთხვევა იყო 1907 წელს, რის მოწამეც ყველა ჩვენ ვიყავით და რომელიც შეამზადეს და გამოიწვიეს 1904—1905 წლებმა და ფინანსიურმა კრიზისმა. ომიანობამ, რევოლიუციამ და თათარ-სომეხთა შეტაკებამ შეამცირეს აბრეშუმის წარმოება და მოაკლო მექარხნეებს მასალა, ხოლო რადგან ფარჩა-აბრეშუმეულობის მოთხოვნილებამაც იკლო იმ წლებში ამიტომ ამ შემცირებას ფასების მომატება-დაკლებაზე არ უმოქმედნია. 1906 წელს კი როცა მიწყნარდა ყველაფერი, უცბად იფეთქა ქარხნების მოთხოვნილებამაც, მეაბრეშუმეობის ნაწარმოებს დაეტყო ეს მოთხოვნილება და დეკემბრის დამლევს 1906 წ. პარკის ფასი 10—12$^{1}/_{2}$ ფრანკამდე ავიდა. ამერიკელ მეფეიქრებმა, რომელნიც უმთავრესი მომხმარებელ-გამსაღებელნი არიან, ფრანგ-იტალიელ მექარხნეების დამუშავებული დიდძალი ძაფი დაიკვეთეს წინდაწინვე, რამაც ფასი პარკზე იანვარსა და მარტში (1907) მარსელსა და მილანში 13—14 ფრანკამდე ასწია. უცხოელი პარკის მყიდველნი მოჰყვნენ ჩვეულებრივ ანგარიშიანობას, ჩაითრიეს ამ სპეკულიაციაში ჩვენი ექსპარტიორებიც და ივნისის და აგვისტოს პარკის მოსავალი წინდაწინვე იყიდეს 12—14 ფრ. კილო ანუ 80 მანეთზე მეტად ფუთი. ამ გარემოებამ პარკობის დროს ჩვენში ერთი აურ-ზაური გამოიწვია—ნედლი პარკის საყიდლად ადგილობრივ ბაზარზე გამოვიდა გარდა ძველი მყიდველ-ექსპორტიორებისა ბევრი სხვა-ახალიც შავი-ქვის მრეწველ-ექსპორტიორი ბერძენი და გერმანელი, მოსკოველი ვაჭარი, ფრანგ-იტალიელი და ვინ არ გინდა! პარკის ახალმა მოვაჭრეებმა ახალმოდის მაშინებიც კი ჩამოიტანეს—რათა სხვაზე უფრო მალე გამოეხმოთ პარკი და მსოფლიო ბაზარზე გატანა სხვაზე ადრე მოესწროთ. ჩვენი მეაბრეშუმეები არხეინად იყვნენ, პარკის მოსავალმა ცოტათი უსუსტათ და რაც მოუვიდათ ოქროს ფასად ჰყიდდნენ. ოღონდ სახელი კი ჰქონოდა **პარკისა** და **ნაჭეჭყურაც** რომ ყოფილიყო 20—22 მანეთს არ ალაპარაკებდნენ ფუთში. მეპარკე გაგელებული დარბოდა დაბა-სოფელში პარკის სასყიდლად. განვლო ზაფხულმა, ტომრებს თავი მოუკერეს, წყლიან-ქვიანი პარკი ბათუმში ჩაიტანეს, აიღეს ავანსები. შემოდგომის დამლევს როცა პარკი მარსელსა და მილანში ჩავიდა მსოფლიო ბაზარზე სიჩუმე ჩამოვარდა. გამოირკვა რომ რამდენიმე ვაჭარ-კაპიტალისტების გაკოტრებით ამერიკის მრეწველობას კრიზისი შემოეპარა. ამ დროს ფრანგ-იტალიელ მექარხნეებს მოსდით ამერიკელ მეფეიქრების მიერ გამოგზავნილი ცნობა—უკაცრავათ, მაგრამ კრიზისისა გამო ჩვენ მიერ დაკვეთილ ძაფს ვერ მივიღებთ და ნუ გამოგზავნითო... ამაზე მექარხნეებმა დიდი დავიდარაბა ასტეხენ—როგორ შეიძლება ნაყიდი საქონლის მიუღებლობაო! ვაჭრულ კანონის ძალით მიგალებინებთო და სხვა... მაგრამ ბოლოს ამათაც პირი უტეხეს პარკის გამყიდველებს და შედეგი ის იყო რომ ერთ მშვენიერ დღეს ამათ ჩვენებურებს გამოუგზავნეს ასეთი რუსულ-ფრანგული: ჩვენი საკომისიო სახლი სარგებლობს ბედნიერ შემთხვევით, რათა დაგიმტკიცოთ ურღმესი ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენდამი პატივისცემა და გაუწყოთ, რომ თქვენი პარკი მექარხნემ არ მიიღო, რადგან 100 ტომარა პირველ ხარისხის პარკში 20 ტომარა ჩხარი, ობიანი და დამბალი პარკი აღმოჩნდა, 10 ტომარაში 30 კილო თეკლათის ქვა და ოცი კოკა წყალიო. დიდი ხვეწნისა და მუდარების შემდეგ როგორც იქმნა 82 მანეთის მაგიერ 49 მანეთად მიიღეს ფუთი. ამასთან ხარჯებიც—ზღვაში და ხმელეთზე დაზღვევისა, გემზე დატვირთვა-გადმოტვირთვა, გადასატანი ქირა ზღვითა და რკინის გზით, მედროგების, საწყობ სკლადების, ქალაქის ბაჟი მარსელში და შემდეგ იგივე ხარჯები მილანში (თუმცა ქუთათური პარკის უმეტესი ნაწილი მილანში იყიდება, მაგრამ რადგანაც საკომისიო კანტორების პატრონები მარსელში სცხოვრობენ და საქონლის გადამტანი გემიც ფრანგის კომპანიისა არის, ამიტომ ჩვენებურ პარკს პირველათ მარსელში ჩაასეირნებენ ხოლმე და ფუთზე 1 მანეთიდან 1 მ. და 50 კაპეიკამდე მეტს აწერენ), სულ ამდენი და ამდენიათასი ფრანკი დავხარჯეთ და ჩავწერეთ თქვენს კრედიტში, რომლის დასაფარავადაც უნდა გამოგზავნოთ კიდევ 40,000 ფრანკიო. ამგვარად ჩვენი ექსპორტიორი ვერაფერ ყოფაში ჩავარდა.

უცხოეთშიაც იგივე იყო იმ ხანებში. მაგრამ იტალიის მთავრობამ, რომლის უმთავრეს შემოსავალს მეაბრაშუმეობა შეადგენს და ყოველ წლიურად 400,000,000 ფრანკზე მეტს შემოსავალს სძენს, ბანკირების დახმარებით 150,000,000 ფრანკის შელავათიანი სესხი მისცა მექარხნებს, რითაც მათ ცოტა სული მოიდგეს და მეაბრეშუმეებიც უვნებლად გადარჩნენ. სამაგიეროდ ყოველ წლიურ ხარკად 15,000,000 კილო ხმელი პარკის მოწევა იკისრეს. *)

საფრანგეთის მეაბრეშუმესა და მექარხნეს მდგომარეობას ხომ ქება არ უნდა. ეს მეთორმეტე წელია რაც მათ საჩუქარი აქვთ დანიშნული—ყოველწელ პარკობის დროს მეაბრეშუმეს თითო ფუთ ნედლ პარკში 5—6 მანეთი საჩუქარი ეძლევა, მექარხნე კიდე, რამდენ ფუთ ძაფსაც ამოიღებს მთელი წლის განმავლობაში, იმდენ 34 მანეთს მიიღებს მთავრობისაგან. საფრანგეთის რესპუბლიკა ყოველწლიურად არიგებს მეაბრეშუმეებზე საჩუქრად 6 მილიონ ფრანკს და მექარხნეებზე—4 მილიონს. სამაგიეროდ მრეწველიც და მწარმოებელიც ცდილობს რესპუბლიკის მრეწველობას ყოველწლიურად 350,000,000 ფრანკი შესძინოს. აი რითი აიხსნება რომ შერყეულ ბაზრის წამოსაყენებელ-გასამაგრებლათ მეაბრეშუმე ქვეყნების მთავრობა ყოველგვარ საშუალებას ხმარობს საჩუქარ-პრემიების დანიშვნით და შელავათიანი სესხის გაცემით. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მეაბრეშუმეობას და პარკისა და ძაფის აღებ-მიცემობას ამათ სულ სხვანაირი სენი დასჩემდათ და სულ სხვანაირ წამლობას მოითხოვს, ვიდრე ჩვენებურ მეპარკე-ექსპარტიო-

*) ყველა ქვეყნებში დაახლოებით 70,000.000 კილო ხმელი პარკი მოდის ყოველ წელს. აქედან 15,000,000 კილო იტალიაში; 2,500,000 კილო საფრანგეთში; 4,000,000 კილო ოსმალეთში; 2,000,000 კილო საქართველოში და ამიერ კავკასიის სხვა გუბერნიებში; 2,000,000, ბუხარაში; 1,900,000 კილო სპარსეთში და სხვა მეაბრეშუმე ქვეყნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს და ნუხა-შუშელ მექარხნეებს ჰგონიათ. მაგრამ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. უკანასკნელებმა შარშან ნამესტნიკს თხოვნა მისცეს—ვიღუპებით, პარკზე ფასმა აიწია და გვიშველეთ ბაჟი შემოიღეთ, უცხოეთში არ გაიტანონ და პარკი აქ ჩვენ დაგვრჩესო. ამ 50 წლის წინეთ, როცა საფრანგეთ-იტალიაში ჭიის სენი პებრინა იყო გავრცელებული და საღი თესლი საქართველოდან გაქონდათ (2000 ყუთამდე წელიწადში) უცხოელ მეთესლეებს, იგივე ნუხელ-შუშელ მექარხნეთა თხოვნით მთავრობამ ბაჟი დაადო თესლის გატანას საქართველოდან ღა აღმოსავლეთ კავკასიიდან გირვანქაზე 3 მანეთი ან კოლოფზე ერთი აბაზი. ეს ბაჟი 1863 წლიდან დღემდე არ მოუხსნიათ, რაც ძლიერ აბრკოლებს საღი აბრეშუმის თესლის გავრცელებას ჩვენში.

უცხოეთიდან უფრო ოსმალეთიდან აუარებელი თესლი შემოაქვთ (1000 ფუთამდე) უბაჟოთ. თუ შემოწმების შემდეგ უვარგისი აღმოჩნდა და ან ბევრი თესლი მოგროვდა ბაზარზე და გინდათ უკანვე დააბრუნებინოთ ან და სადმე სხვა ქვეყანაში გაატანინოთ (უვარგისი თესლის დაწვით მოსპობას კანონი ნებას არ აძლევს), უსათუოდ ბაჟი უნდა გადიხადოს პატრონმა ყოველ კოლოფზე აბაზი. ამას ის არ შვრება და გლახა ზედმეტი თესლი ჩვენში რჩება და აფუჭებს პარკის მოსავალს. ამ არანორმალურ მდგომარეობაზე მეაბრეშუმეთა და მეურნეთა კრებას არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ბაჟი დღესაც აუხსნელია.

გარდა პარკისა ჩვენი სოფლის სხვა ნაწარმოებიც ბევრია მსოფლიო ბაზარზე. ყოველწლიურად რამოდენიმე მილიონ მანეთისა საღდება სიმინდი, მატყლი, კვერცხი, თხილი და კაკლის ხე, ნიგოზი კაკლად და დარჩეული, ბზის ხე და სხვა. მარტის პირველ რიცხვებში ფუთი თუშური მატყლი რომელსაც უცხოეთში „georgie"—საქართველოს მატყლს ეძახიან, ფასობდა საუკეთესო თვისებისა კილო 95 ს. ანუ ფუთი 11 მანეთი და 75 კაპ.; საშუალო თვისებისა იყო—6 მან. 85კ. და დაბალი თვისების 4 მ. 80 კაპ.. სიმინდი (ფოთისა და ბათუმის, ე. ი. ქვემოიმერეთის და გურია-სამეგრელოს მიდამოსოფლებიდან) ფუთი 79—80 კ. ხოლო თებერვალში 86 კაპ. იყო. არც ნიგვზის ხეა ეხლა კარგ ფასში.

იოსებ ქუთათელაძე

ხეხილის მტრები

გაზაფხულზე, როდესაც ხეხილი ყვავილს და ფოთოლს იჩენს, მრავალგვარი მწერი და ჭია-ღუა ესტუმრება ხოლმე მას.

ეს ჭია-ღუა ხშირად მოსავალზე ხელს აღებინებს პატრონს და ზოგჯერ თვითონ ხესაც უსპობს სიცოცხლეს.

ასეთია, მაგალითად, ვაშლის **სკულიტუსი**, რომელიც პატარა შავი მწერია მოკავებული დინგით და წააგავს ცოტათი უგრეხლის ჭიას. ამ მწერმა გუნდობით იცის მისევა ახალგაზრდა ვაშლის ხეზე, რომლის ძირებს და მომსხო ტოტებს ხვრეტავს, ხშირად ერთი ვერშოკის სიღრმეზე და შემდეგ კანსა და ცილას შუა კვერცხებსა სდებს. კვერცხებიდან წვრილი მატლები იჩეკება და ეს მატლი იწყებს კანს ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიარულს და ხის ცილის ჭამას. ხე ფუ-ტუროვდება, ქერქი უხმება და თითო-ნაც ხშირად ხმება.

ცხინვალს ახლო ბევრი ვაშლი მინა-ხავს ასე 10—15 წლისა გამხმარი სკუ-ლიტუსისაგან. თვით ჩემ ბაღში, ბორჯომის ხეობაში, შარშან, 1909 წ., 4 და 17 აპრილს რამდენიმე ვაშლს გაუჩნდა ეს მწერი. ორს მათგანს ძა-ლიან ბლომად მოსდებოდა, ასე რომ თითქმის ორასამდე ადგილას იყო დახ-ვრეტილი, საიდგანაც წყალი სდიოდა.

წამლობა: წმინდა წინდის ჩხირი უნდა დაეტაროს ნახვრეტებში, შიგ მყოფი მწერი მოისრისოს და ნაადგი-ლევი ერთმანეთში აზელილ თიხით და საქონლის ახალი ნეხვით ამოეგლისოს.

თუ მწერმა მოასწრო მატლების გა-მოჩეკა და ხის კანს ქვეშ მოქმედება, მაშინ შემხმარი ქერქი უნდა დანით ამოიჭრას და ადგილი თიხით ამოელე-სოს.

—

ადრე გაზაფხულზე ვაშლსა და მსხალს უჩნდება **ყვავილის მჭამელა**. ეს პატარა შავია მწერია მოგრძო ცხვი-რით, რომლითაც ხვრეტავს გაუშლელ ყვავ.ლის კოკორს და შიგ თითო კვერ-ცხსა სდებს. კვერცხიდან თეთრი მატ-ლი იჩეკება. მატლი სჭამს ყვავილის გულსა და ჯერ გაუშლელი ყვავილი ჭკნება, ხმება და მატლიანად ცვივა ძირს მიწაზედ. მიწაში მატლი პარკს იკე-თებს და ორიოდე კვირის შემდეგ პარ-კიდან ახალი მწერი გამოდის და ახლა ნაყოფს ესევა და უწყებს ჭამას.

მის წინააღმდეგ შემდეგი ზომები იხ-მარება: დილით ადრე ხის ქვეშ გაუშ-ლიან ზეწრებს და ხის ტოტებს არ-ხევენ. სიცივისაგან შეკრუნჩხული მწე-რი ადვილად ცვივა ძირს და შემდეგ ცეცხლში იბერტყება. დაზიანებულ კოკრებს კი ხელით ჰკრეფენ ხიდან და ცეცხლში სწვავენ. ამ წელს ყვა-ვილის მჭამელა 27 მარტს გაჩნდა წვრილ სამურაბე ვაშლზე და დროზედ მოვბერტყეთ.

—

ამავე დროს ვაშლსა, მსხალს და ქლიავს უჩნდება **რინხიტუსი**. ეს მწე-რი ხვრეტავს გაუშლელ ყვავილის კოკორს და გულსა სჭამს, აგრეთვე ფოთლიან კვირტებსა და ნორჩ ყლორ-ტებსაც მოღრღნის ხოლმე. კვერცხებს ფოთლებში სდებს, კვერცხიდან გამო-სული მატლი ფოთლის ყუნწში იმა-ლება, ფოთოლი ცვივა ძირს და მაი-სის გასულს მიწიდან ამოდის ახალი მწერი, რომელიც ახლა ნაყოფს მიე-სევა და სჭამს.

თიბათვეში რინხიტუსი ნაყოფს ხვრე-ტავს დინგით, შიგ წვრილ თეთრ კვერ-ცხსა სდებს, კვერცხიდან მატლი იჩე კება და ნაყოფსა ღრღნის. დაჭიანე-ბული ნაყოფი ცვივა მიწაზე და მატ-ლიც მიწაში ინახავს თავს მეორე გა-ზაფხულამდე.

ვაშლის რინხიტუსი ბჭყვრიალა მუ-ქი სოსანის ფერისაა, ექვსი ბორჯღ-ლიანი ფეხი აქვს და გრძელი დინგი, რომელსაც ბოლოზე ორი პატარა ულ-ვაშის მზგავსი ბეწვი აქვს. საკმარისია ხელი შეახოთ ფოთოლს ან ტოტს, რომელზედაც რინხიტუსი ზის, რომ მაშინათვე ჩამოვარდეს და თუ დილა არის, ძირს დაეცემა, რადგან ღამით შეცივნული ფრთებს ვეღარა ხმარობს. მზის ამოსვლის შემდეგ კი ფრთებს იშვე-ლიებს და ისევ ხეს მიეტანება ხოლმე, ფრენა სუსტი იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხლის რინხიტუსი უფრო მოზრდილია.

ზომები ამ მტრების წინააღმდეგ იგივეა, რაც ყვავილის მჭამელას წინააღმდეგ. ამასთან მაისის განმავლობაში ხის ძირას ჩამოცვივნული თოთოლი და ძირს ნაყარი ხილი უსათუოდ უნდა აიკრიფოს და დაიწვას.

გ. თაქთაქიშვილი

ბახჩისარაის კვახი

ეს კვახი სრულებით არა ჰგავს ჩვენში გავრცელებულ კვახს ანუ გოგრას. იგი ბუჩქათ იზრდება და ძრიელ ბლომათ ისხამს. როცა ნორჩია და ნაზი, ხარშვენ და დაკეპილი ხორცის ჩასართავად (ფარშათ) ხმარობენ. უნდა ვსთქვა რომ ამ კვახს ერთი შეუდარებელი კარგი თვისება აქვს: ურწყავ ადგილში ნაყოფს იკეთებს 8—10 ვერშოკს სიგძით და 3 ვერშ. სისქე-სიგანით. ნაყოფი უნდა დაიკრიფოს სანამ სიმწიფეში შევა, თორემ ახალ-ახალს აღარ დაისხამს.

ბუჩქა კვახები რამდენიმე ჯურაა. მაგალითად თეთრი ბუჩქა, იტალიანური ბუჩქა, მაგრამ ბახჩისარაის ბუჩქას ყველანი ჩამოურჩებიან სხმოიარობით. იქ, სადაც საძოვარი ცოტაა ღორხბოსათვის, ამ კვახს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენში. მთელ ზაფხულს და შემოდგომას ეს კვახი მრავალ საკვებავს იძლევა წვრილ საქონლისათვის.

მე მინახავს მეურნეები, რომელნიც ზაფხულში ღორებს საძოვარზე არ უშვებენ და მხოლოდ ამ კვახით ასაზრდოებენ წვრილ საქონელს.

ვგზავნი თესლს ამ კვახისას და სცადონ ჟურნალ **„მოსავალის“** ხელისმომწერლებმა. მეტადრე საინტერესოა სარწყავ ადგილებში დაითესოს ქართლსა და კახეთში. იმერეთში ურწყავშიაც კარგად მოვა.

ვ. კარალელი

ყელის ავადმყოფობანი

ყელი წარმოადგენს მილს, რომელიც აერთებს პირსა და საყლაპავს კუჭთან. საყლაპავიდან დაწყებული შუა კისრამდის იგი სძევს სასულეს ზევით, მერმე თანდათან მარცხნით გადადის და მკერდში შესავალთან მთლად მარცხნივ მოექცევა სასულეს; მერე გაივლის მკერდში, იქიდან გავა მუცელში და იქ შეუერთდება კუჭის თავს. საყლაპავთან, მკერდში შესავალთან და მკერდიდან მუცელში გასავალთან ყელი ცოტათი ვიწროა, დანარჩენი ადგილები კი წარმოადგენენ ერთი ზომის მილს. ყელის კედლები მთელ მის სიგძეზედ ერთი სისქისაა. შიგნით ყელი მოფენილია ლორწოიანი კანით, რომელიც წარმოადგენს პირის და საყლაპავის ლორწოიანი კანის გაგრძელებას.

1. ყელის ანთება.

ყელის ლორწოიანი კანი, როგორც პირისა და საყლაპავისა, ხშირად ხდება ავად ანთებით, მაგრამ, თუ ანთება ლორწოიან კანს არ გასცილდა და უფრო ღრმად არ წავიდა ყელის კედლების სისქეში, ავადმყოფობა დიდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგრძნობელი არ არის ცხოველისათვის. ამიტომ ხან შეუმჩნეველიც კი რჩება გარედან და ადვილად გაივლის ხოლმე თავისთავად.

ხოლო თუ ლორწოიანი კანიდგან უფრო ღრმად არის წასული ანთება ყელის კედლებში, უმეტესად. თუ ანთებიანი ადგილები ყელის კედლებისა დაჩირქდნენ, მაშინ ავადმყოფობა დიდად საგრძნობელი ხდება და თვით ნიშნებიც ავადმყოფობისა უფრო გამოაშკარავებული და გამორკვეულია.

ყელის ასეთნაირ ანთების დროს ცხოველი საჭმელს კარგათ ღეჭავს, კიდევაც ყლაპავს, მაგრამ ლუკმა ყელში უჩერდება და ცოტა ხნის შემდეგ უკანვე უცვივდება ზოგი პირიდან და ზოგიც ცხვირიდან. ამ დროს ცხოველი დიდს ტანჯვაშია, თრთოლავს, გმინავს და კრუსუნებს, ახველებს, პირიდან ლორწო ჩამოუწურწურებს. ხშირად გულის რევაც აქვს, ზოგჯერ წამოაღებინებს უსუფთაო ქაფიან ლორწოს, რომელშიაც ურევია საჭმელის ნამცეცები, ჩირქი (თუ ყელის კედლები დაჩირქებულია) და ყელის კედლებიდან აღვლეპილი ლორწოიანი კანის ნაკუწები. ზოგჯერ ლორწოიანი კანი ყელის კედლები მთელ სიფართოეზედ ამოეღვლიპება. მაშინ პირიდან წანაღებ ლორწოში ლორწოიანი კანის ნაგლეჯები მისდევს მილის ფორმისა, ე. ი. იმ ფორმისა, რა ფორმისაც თვით ყელია. გარედან ყელზედ ხელის შეხება დიდ ტკივილს აგრძნობინებს ცხოველს და ზოგჯერ გულის რევასაც აუტეხს ხოლმე.

ყელის ანთების გამომწვევი მიზეზები იგივეა, რაც პირისა და საყლაპავის ანთებისა იყო: ხმელი და მოუხეშელი საჭმელი, მწარე და მწვავე სასმელი, საჭმელი ან წამალი; გაყინული, თრთვილიანი, ცხელი, ობიანი, ტალახიანი სასმელ-საჭმელი; ბევრი მარილი, ან სხვა ისეთი ნივთიერებანი, რომელნიც ძლიერ აზიანებენ ლორწოიან კანს. ჭრილობები ყელის კედლებზედ, რომელიც შეიძლება მიეცეს ცხოველს სხვადასხვა პირიანი და მაგარი საგნებით, მაგ. დაჭრილი ჩალით, ან საჭმელში ჩაყოლილი ნემსით, ლურსმით, ნაფოტით, ძვლის ნატეხებით და სხვა.

ამათ გარდა, ზოგიერთი ავადმყოფობანი, მაგ. ყვავილი, ცოფი, პირისა და საყლაპავის ანთება აგრეედვე გამომწვევნი არიან ყელის ანთებისა.

ექიმობა. ავადმყოფს უნდა მიეცეს რბილი და ადვილად ჩასაყლაპი საჭმელი; ახლოს უნდა ედგეს ცივი სუფთა წყალი, რომ ყელი გაიგრილოს და გაისუფთავოს ხოლმე; ასეთ წყალს თუ შევამჟავებთ ცოტათი ცხარე ძმარით, ან წყალ-ნარევი მარილის სიმჟავით კარგი იქნება (1 ჩაის კოვზს წყალნარევ მარილის სიმჟავეს გავურევთ 5—8 ბოთლ წყალში).

ამის გარდა ძლიერ რგებს ავადმყოფს შავი ღვინის დალევინება. ასმევენ აგრეედვე მუხის კანის ნახარშს (1 გირვანქა მუხის კანისა 5—6 ბოთლ წყალში).

გარედან ყელი უნდა ვუგრილოთ ცივი ტილოებით, რომელსაც მალმალ გამოვუცვლით.

გრ. ცხადაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა და პასუხი

კითხვა. წელს აქეთ ჯეჯილის ფოთლებზე გაჩნდა რაღაც ჟანგის ფერი წვნიკი სოკოები, რომლებსაც ჟანგის ფერი მტვერი სდის და რომელსაც ხალხი **„ჟანგარო“**-ს ეძახის. სოკოები უფრო მოდებულია ჯეჯილის ქვევით ფოთლებზე, რომლებშიაც მცენარე სოკოების გამო დამჭკნარ-გაყვითლებულია. ხალხი ამ მოვლენას კარგის მოსავლის მომასწავებელათ სთვლის და თავის ამ აზრს იმაზე აფუძნებს, რომ ამ ათი-თხუთმეტი წლის წინად „ჟანგარო“ ხშირი მოვლენა ყოფილა და როცა კი „ჟანგარო“ გასჩენია ჭინახულს, მოსავალიც კარგი ყოფილა. ესეთი აღსნა ამ მოვლენისა ცოტა არ იყოს რაღაც ზღაპრულია და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ განგვიმარტოთ, თუ რისგან ჩნდება ეს სოკოები და რა გავლენა აქვს ჭინახულზე.

ალ. კახელაძე.

პასუხი:—ამ წერილთან რომ დაავადებული ჯეჯილიც მოეყოლებინა ავტორს, რასაკვირველია, უფრო გაგვიადვილებდა პასუხის მიცემას.

„ჟანგარო“ იგი ალბად არის Uredo Linearis Lamb წარმომდგარი ძრიელ წვრილი სოკოებისაგან (Uredineae).

ამ სოკოს სფორები მოტანილი ქარით ან მწერებით მიეკვრებიან ხოლმე ნორჩ ჯეჯილს და 8—12 დღის განმავლობაში იზრდება მრავლად პაწაწინა სოკოები **ურედსფორები** მოჟანგრო ფერისა, რომელნიც ცალკცალკე ასხედან მცენარეს ღეროზე უფრო ქვემოთ ნაწილზე. ეს პაწაწინა სოკოები ადვილად ცვივიან ძირს და ახლა სხვა ადგილას ამოდიან. ურედოსფორა ოღონდ კი მოხვდეს მას წვეთი წყალი ან ნესტიანი ადგილი და მაშინათვე იწყებს ზრდას. მის ქსელები, როგორც ობი გამომცხვარ პურს, გაუჯდებიან ხოლმე მცენარის ნამჯას და აჟანგრებენ მას. ზაფხულის დამლევს ურედოსფორების გამრავლება ისპობა და მათ მაგიერ წარმოსდგებიან ზამთრის სფორები, რომელნიც თავიანთი შავი ფერით შესამჩნევად განსხვავდებიან ურედოსფორებისაგან.

„ჟანგარო“ მრავლდება უფრო ნახნავის კვლებში, ყანების სანაპიროებში და არა შუა ყანაში. ამიტომ ზოგან მის მოწამლვასაც ახერხებენ—ასხურებენ ამ სანაპიროებში შაბიამანს ისე როგორც ვენახებსა ვწამლავთ.

რადგან ყანის ნაპირებში ამოსული ბალახი ხელს უწყობს ურედოსფორების გამრავლებას და „ჟანგაროს“ გაძლიერებას, ამიტომ ურიგო არ იქნება რომ ეს სანაპიროები გამოითიბოს ხოლმე.

თუ „ჟანგარო“ ძლიერ გავრცელდა ვნება დიდი შეუძლიან მოუტანოს მოსავალს.

გაყვითლებული ღერო მცენარისა უძლურდება, მცენარეს ველარ იმაგრებს და ყანა იქცევა. წაქცეული ველარ საზრდოობს კარგად, თავთავი მარცვალს ბევრს ველარ იკეთებს და რაც კეთდება ისიც დამშეული გამოდის. ზოგჯერ შეიძლება ამ სატკივარმა სრულიად ხელცალიერი გაუშვას ყანის პატრონი.

„ჟანგარო“ ბევრმა მცენარემ იცის (ყველაზე მეტად კი კოწახურმა), სხვადასხვანაირია, ყველა ქვეყნეშში არის გავრცელებული.

ქერსა და ფეტვს უფრო ნაკლებ ემტერება, ვიდრე პურს.

თავიდათავი საშუალება ამ სატკივრის წინააღმდეგ სათესლე ხორბლის გადარჩევა და წამალში გაწმენდა არის*).

რედ.

*) თესლის გაწმენდაზე იხილე „მოსავალი“ № 2, 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი

ბალახები

ინჯა
სამეურა
ძურწა
ურო
თივაქარცლა
შალაფა
დგარძლა
რძიანა
კუტი ბალახი
მაკიდელა (გძელი ბალახია გაბმული)
კლარწა
ონტეოფა (ამის ყვითელ თავს ცხვრის დუმაში ურევენ და ერბოს ამზგავსებენ)
ეკალა
ვაშლა
მატიტელა
ბალბა
ლაგარძლა
თავშავა
გვირილა
ძირხვენა
ტუხტი
ვირტერფა
ხვართქლა
ენდრო
შვრია
კანაფი
კარაზანა (ყვითელი თავი აქვს კბილის წამლად ხმარობენ).
სტაფილო
ჭარხალი
ბამიდორი
ცერცვი
მუხუდო
სისარი

სოკოები:

ნიეკვა
ქამა
ლებანა
ხრაშუნა
ნეშო
რძიანა
წითელკაბა
მწკალა
ვაცი
ხეთამხალა
დათვის სოკო
მერცხლის სოკო
გველის სოკო
ქოშოტა
ხის სოკო
ბაწიწა
წითელის სოკო
კაკლის სოკო
კაკიანთ სოკო (საწამლავია. როცა შეიწვება გალურჯდება).

სხვადასხვა მხალი

ქათმიკუწა
ციანიეურა
ბორწმინდა
ბებრიკონკა
ხაჭიჭორა
ვაზის ძირა
დორის ქადა
ნაცარ ქათამა

მწვანილები:

ქინძი
ხახვი, თალიში ხახვი
ნიორი
ბრასა
წიწმატა
კამა
ქონდარი
ტარხუნა
რეკანი
ბიტნა
ოხრახუში ანუ მადანოზი

საჭმელად ხმარებული:

ჭინჭარი
ლინდური
ნრჯაკელი
სვინტრი
სტაფილური

ბოსტნეულობა

კარტოფილი
მიწიგაშლა
ბადრიჯანი
ლობიო

მიწები:

ახო (გაუტეხავი მიწა გაკაფული ტყის ქვეშ).
ყამირი (კუნძებ ამოგდებულ ხოლო დიდი ხნის უხნავი).
ნაჩხატი (ერთი ან ორი წლით უხნავად დარჩენილი).
ანეჩხარი (დიდი ხნის დაუბარავი).
ნაფუზარი (ნამსუქნი ადგილი).

სახნავები:

ნაყანობი
ნაბამბარი
ნაფეტვარი
ნაქერალი
ნასიმინდარი

შემოდგომის ნათესობა:

ბური (თავთუხი და დოლის ბური)
ქერი

ანეული (გაზაფხულის ნათესობა)

დიკა (ბური)
ქერი (шестирядный).
სიმინდი
ფეტვი
ლობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებო ცნობები

ვალტირსის წასასმელი ფოლადისა და რკინის დაჟანგების წინააღმდეგ.—ეს წასასმელი ა'ე მზადდება: $2^1/_2$ სტაქან წყალს ცოტა (10 გრამი) გლიცერინს მიუმატებენ და $^1/_2$ გირვანქა მუხის ნახარშსა და $^1/_4$ გირ. გუმიარაბს გადაურევენ. ნარევსნელ ცეცხლზე დაიჭერენ სანამ გაიბმება-გაერთნაირდება. შემდეგ გააციებენ და შეინახვენ ცალკე ჭურჭელში—ჯამში ან ქილაში.

როცა რამე რკინეულობას ან ფოლადეულობას ვინახავთ, ეს წასასმელი უნდა წაუსვათ და აღარ დაჟანგდებიან.

ლითონების გაწმენდა ჭუჭყისა და ჟანგისაგან.—ამ ბოლო დროს ლითონების გასაწმენდად შემდეგ სულ უბრალო წამალს ხმარობენ. ერთ კრუჟკა ნავთს ბოთლში ცოტა პარაფინს ჩააყრიან წვრილად დაჭრილს და შეაჭანჭყარებენ რომ პარაფინი დადნეს. დააცდიან ნარევს ორიოდე დღე, ხოლო დროგამოშვებით უნდა შეაჭანჭყაროთ და წამალი მზად არის.

ხმარების წინ ბოთლი უნდა კარგა შეჭანჭყარდეს, შემდეგ წაესოს ჩოთქით წამალი გასაწმენდ სპილენძეულობას და მაუდის ან ტილოს მჩვრით გაიხეხოს. რაც ჟანგი ან ჭუჭყი ჰქონდა ლითონს სულ გადაუვა.

დაობებული ლიმონი ჭიანჭველებს წინააღმდეგ. — ჭიანჭველებს თურმე ძალიან ეჯავრებათ დაობებული ლიმონის სუნი. ერთიორი დღე სრულიად საკმარისია ესეთი ლიმონი დავდოთ, რომ იქ ახლო-მახლო ერთმა ჭიანჭველამაც აღარ გაიაროს.

განცხადებანი

მთელ კავკასიაში პირველი სპეციალური **ელეკტრო-მეხანიკური** დაწესებულება

ა. დიუმა

ტფილისი, მიხაილოვის ქუჩა, № 140,

რომელიც ამზადებს მეფუტკრეობაში საჭირო ყველანაირ იარაღებსა და ავეჯეულობას.

დედა-ფუტკრ'ს მაზრდა ხელოვნურად,

წიგნები და სახელმძღვანელოები

მეფუტკრეობის შესახებ.

აქვე ყიდულობენ და ჰყიდიან

თაფლს და წმინდა სანთელს.

პრეისკურანტი უფასოთ.

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

ერთ წიგნად **ედა-კაზმული** ჟურნალის ყველა 15 ნომერი აქამდე გამოსული მსურველთ დაეთმობათ იმავე **2 მანეთში,** რამდენიც წლის დამლევამდე ღირდა ჟურნალი.

მოსავლის რედაქციაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ვ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (მეორე ნაწილი) 50 კ.

იმისივე (თარგმანი) ქიმია პრ. როსკოსი (მეორე გამოცემა) 30 კ.

იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან ტ შვეიცარიის ძირითადი კანონები 25 კ.

(ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ არის დანიშნული).

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

<u>წელიწადი მეორე</u>

მიიღება ხელისმოწერა 1910 წლისათვის.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. Редакція «МОСАВАЛИ».

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**